პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 40 (481) პარასკევი, 21 სექტემბერი, 1951 წ. ფასი 30 კაპ.

ქართველი ხალხის ხმა

დღითი დღე ფართოვდება ჩვენს ქვეყანაში მასობრივი კამპანია ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად. მიმართვას უკვე ხელი მოაწერა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლიტვის, უზბეკეთის ასიათასობით მშრომელმა.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის ხალხები მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერით ერთხელ კიდევ ადასტურებენ თავიანთ ურყევ ნებას — ჩაფუშონ ახალი ომის გამჩაღებელთა მზაკვრული გეგმები, ბოლომდე დაიცვან მშვიდობის საქმე მთელს მსოფლიოში.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად თანამიმდევრულად იბრძვიან ახალი ავაზაკური ომების თავიდან აცილებისათვის და ხალხთა უშიშროების დაცვისათვის საბჭოთა საქართველოს მშრომელები.

ქართველ ხალხს არ სურს ომი, იგი ერთგულია საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკისა და არ ზოგავს ძალასა და ენერგიას მშვიდობის შენარჩუნების კეთილშობილური საქმის ბოლომდე დასაცავად.

ქართველი ხალხის ნებასურვილის ახალ ნათელ დადასტურებად მოგვევლინა მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციის ტრიბუნიდან ქართველი ხალხის რჩეულმა ადამიანებმა — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, ექიმებმა, პედაგოგებმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ხმამაღლა განაცხადეს, რომ თავიანთ მაღალ და კეთილშობილურ მიზნად მიაჩნიათ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

კონფერენციის დელეგატებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ ქართველი ხალხი მომავალშიც თავგამოდებით იბრძოლებს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ნათელი შენობის აგებისათვის.

კონფერენციამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და მოუწოდა საქართველოს მშრომელებს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ამ მიმართვას და ამით ერთხელ კიდევ ცხადყონ თავიანთი უსაზღვრო სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი, პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ი. ბ. სტალინისადმი, თავიანთი ურყევი მზადყოფნა მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად დაიცვან მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმე.

მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის დელეგატებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. ჩვენს რესპუბლიკაში ჩაღდება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მტკიცედ დგანან მშვიდობის საგუშაგოზე, ერთსულოვნად, სრული პასუხისმგებლობის შეგნებით მოაწერენ ხელს მიმართვას და ამ ხელმოწერას განამტკიცებენ ახალი წარმატებებით შრომის ფრონტზე.

ქართველი ხალხი, მჭიდროდ დარაზმული ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო, კვლავაც თავდადებულად იშრომებს კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

სტალინური გაზეთი „ბრძოლა“

16 სექტემბერს ბოლშევიკურმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა აღნიშნეს ბოლშევიზმის გმირული ისტორიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი — 50 წელი პირველი არალეგალური ქართული მარქსისტული გაზეთის „ბრძოლის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური ორგანოს — გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემის ინიციატორი, მისი იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი იყო დიდი ლენინის საუკეთესო მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი. ყველა სახელმძღვანელო სტატია რევოლუციური მარქსისტული პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის საკითხებზე „ბრძოლაში“ ამხანაგ სტალინს ეკუთვნოდა.

გაზეთი „ბრძოლა“ თანამიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ლენინური „ისკრის“ იდეებს. „ბრძოლა“ იყო ყველაზე უკეთესი მარქსისტული გაზეთი რუსეთში ლენინური „ისკრის“ შემდეგ. ლენინურ „ისკრასთან“ ერთად სტალინური „ბრძოლა“ ბრწყინვალედ ასრულებდა კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლს. „ბრძოლამ“ უდიდესი როლი ითამაშა მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული სოციალიზმის შეერთების საქმეში.

სახელოვან თარიღთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქ თბილისის საწარმოებში, დაწესებულებებში, რაიონულ პარტკაბინეტებში ტარდება ლექციები თემებზე: „სტალინური „ბრძოლა“, „50 წელი გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომრის გამოცემიდან“, იმართება საუბრები: „ამხანაგი ლ. პ. ბერია სტალინური „ბრძოლის“ შესახებ“, „ლადო კეცხოველი და „ბრძოლა“.

ამ დღეებში განსაკუთრებით ბევრი ექსკურსანტი მიდის ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ გაზეთ „ბრძოლისადმი“ მიძღვნილ ექსპონატებს.

გაზეთ „ბრძოლის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა გაიხსნა ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში, აგრეთვე კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

17 სექტემბერს ჩატარდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სხია, მიძღვნილი გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლის 50 წლისთავისადმი.

თბილისის ახალგაზრდობის კრება

14 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის საზეიმოდ მორთულ დარბაზში გაიმართა თბილისის ახალგაზრდობის საქალაქო კრება, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის შედეგებს.

კრება გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. დედაბრიშვილმა.

კრების მონაწილეებმა ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები კ. ნ. ჩარკვიანი და ნ. ა. მიხაილოვი.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის შედეგების შესახებ კრებაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. ორლოვმა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ფესტივალის მონაწილე, მსოფლიო ჩემპიონი სტუდენტთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გივი კარტოზია.

— საბჭოთა სპორტსმენები, — თქვა გ. კარტოზიამ, — უსაზღვროდ ბედნიერი არიან, რომ ასახელეს ფესტივალზე საბჭოთა ქვეყნის დროშა, ცხადყვეს თავიანთი მაღალი სპორტული ოსტატობა.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა რ. ლეიაშვილმა, ქალთა მე-3 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, მოსწავლე დ. ბოჯგუამ, რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა მ. ჩახავამ და სხვ. კრებაზე გამოვიდა სტალინური პრემიის ლაურეატი, პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელმაც თავისი სიტყვა ლექსად წარმოთქვა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

* * *

მოტოგადარბენა საქართველო — კომუნიზმის დიადი მშენებლობები

დღეს, 21 სექტემბერს თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე სტარტი მიეცემა მოტოგადარბენას საქართველო — კომუნიზმის დიადი მშენებლობები. გადარბენას აწყობს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ მესამე რაიონული საბჭო. გადარბენის მონაწილეები ესტუმრებიან ჩრდილოეთ ყირიმის, სამხრეთ უკრაინის, ვოლგა-დონის არხებისა და კახოვკისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებს.

ქართველი სპორტსმენები სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს საჩუქრად გადასცემენ პლასტმასისაგან დამზადებულ მაკეტს სახლისას, სადაც დაიბადა დიდი სტალინი, სხვა კოლექტივებს კი — სამახსოვრო დროშებს.

ლაშქრობის მონაწილეებს თან მიაქვთ საქართველოს მშრომელთა პატაკი, იმის შესახებ თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის საწარმოები კომუნიზმის დიად მშენებლობათა საპატიო შეკვეთებს.

გადარბენაში მონაწილეობენ მოტომარბიელები გ. ღლონტი, ი. ზედელაშვილი, ი. ზარიძე, გ. მოდებაძე, შ. ოჰანესიანი, გ. გვერდწითელი, უ. ჯეირანაშვილი, ნ. როდიონოვი, მ. ფიცხელაური, გ. იფხაზავა, ს. ბუილიშვილი. გადარბენას ხელმძღვანელობს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ავტო-მოტო სექციის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ნავრუზაშვილი.

გადარბენის მარშრუტია თბილისი—გორი—სოხუმი—ნოვოროსიისკი —ქერჩი—ჯანკოი—კახოვკა — ნაგოლსკ—ციმლიანსკაია და სტალინგრადი. იქიდან ისინი უკან დაბრუნდებიან კალაჩზე, როსტოვზე, კრასნოდარზე, ტუაფსეზე. სოჭზე და ქუთაისზე გამოვლით. მოლაშქრენი გზაში დაყოფენ 25 დღეს და გაივლიან 4.000 კილომეტრზე მეტ მანძილს.

მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენცია

18 სექტემბერს, საღამოს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის საზეიმოდ მორთულ საკონცერტო დარბაზში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციაზე თავი მოიყარეს რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოსულმა დელეგატებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა და სოციალისტური შრომის გმირებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, ტექნიკური ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, მასწავლებლებმა და ექიმებმა.

სცენის სიღრმეში ცოცხალი ყვავილების ფონზე მოჩანს მშვიდობის მედროშის, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის პორტრეტი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის მომწვევი საინიციატივო კომიტეტის წევრები.

მოკლე შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა საინიციატივო კომიტეტის თავმჯდომარემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა, პოეტმა-დრამატურგმა ი. მოსაშვილმა.

კონფერენციის საქმიანი პრეზიდიუმის, სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ დელეგატებმა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ხალხი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში;

2. მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის არჩევნები;

3. მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ჯანელიძემ.

ამხ. ჯანელიძის მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ყიფშიძემ, თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ნ. გამცემლიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, კომპოზიტორმა შ. მშველიძემ, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა, თბილისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა ფ. ხიბბამ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბემ ი. მაჩაიძემ, პოეტმა ხ. ხალვაშმა (აჭარა), ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სატყეფრო-მექანიკური საამქროს მხეხავმა ს. ჯიქიამ, პოეტმა რ. ასაევმა (სამხრეთ ოსეთი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა კ. ზავრიევმა, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ქავთარაძემ.

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა.

* * *

კონფერენციის მეორე სხდომაზე, რომელიც შედგა 19 სექტემბერს დილით, გრძელდებოდა დელეგატების გამოსვლები.

სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სტახანოველმა მეფოლადემ გ. სიგუამ, სამგორმშენის უფროსმა ა. გაბუნიამ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ და სხვებმა, სულ 20 დელეგატმა.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

დელეგატთა გამოსვლების დამთავრების შემდეგ კონფერენციამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ დაუჭირა მხარი მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ და მოუწოდა საქართველოს მშრომელებს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ამ მიმართვას.

კონფერენციამ აირჩია მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი 41 კაცის შემადგენლობით და მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისადმი.

სხდომის დამთავრების შემდეგ კონფერენციის დელეგატებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მესამე ამწყობი საამქროს ზეინკალი გივი ბუხრიკიძე, რომელიც შარშან მოვიდა ქარხანაში მე-6 სახელოსნო სასწავლებლიდან, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. თავდადებული შრომით მოწინავე სტახანოველს თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. გ. ბუხრიკიძე მოწინავეა არა მარტო შრომაში, არამედ სპორტშიც. იგი პირველთანრიგოსანი მოჭიდავეა. სურათებზე: გ. ბუხრიკიძე თავის დაზგასთან (ზევით) და საწვრთნელი ვარჯიშის დროს.

ფოტო გ. ტარბეევისა

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

თბილისის დინამოელებმა მოიგეს პირველი ფინალური შეხვედრა

ოდესა („ლელოს" სპეციალური კორესპონდენტისაგან). 15 სექტემბერს დაიწყო ნახევარფინალური თამაშები. ვაჟთა გუნდებიდან „ა" ქვეჯგუფში იბრძოდნენ: ვვს (მოსკოვი), უნივერსიტეტი (ტარტუ), ელექტროტექნიკური ინსტიტუტი (ლენინგრადი) და „ნაუკა" (ბაქო); „ბ" ქვეჯგუფში: „დინამო" (რიგა), „ნაუკა" (ოდესა), ოფიცერთა სახლი (ლენინგრადი), „ჟალგირისი" (კაუნასი); „გ" ქვეჯგუფში: „დინამო" (თბილისი), „დინამო" (მოსკოვი), „ისკრა" (ერევანი), ოფიცერთა სახლი (კიევი).

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის ქალთა გუნდი გავიდა იმ ნახევარფინალურ ქვეჯგუფში, სადაც ფინალში მოხვედრისათვის იბრძოდნენ „ისკრა" (ლენინგრადი), „დინამო" (მოსკოვი) და „ჟალგირისი" (კაუნასი).

წინასწარ შეჯიბრებებში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულ გუნდებისაგან შედგა ცალკე ქვეჯგუფები — 3 ქალთა და 3 ვაჟთა (თითოში 4 გუნდია), რომლებიც იბრძვიან პირველობაში მე-13 და მომდევნო ადგილებისათვის. ამ გუნდებს შორის არის თბილისის ოფიცერთა სახლის კოლექტივი.

მწვავე ბრძოლით აღინიშნა რიგის „დინამოსა" და კაუნასის „ჟალგირისის" შეხვედრა. რიგის გუნდში უმრავლესობას შეადგენს ახალგაზრდობა, რომელთაგან ბევრი პირველად მონაწილეობს საკავშირო პირველობაში. კაუნასელებმა, რომელთა შორის შესანიშნავად თამაშობდა ს. ბუტაუტასი, მძაფრი ბრძოლის შემდეგ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 41:27.

ენერგიულად, სწრაფ ტემპში ჩაატარა თამაში საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდმა. პირველი ნახევარფინალური შეხვედრა მას ლენინგრადის „ისკრასთან" ჰქონდა. თამაშის დასაწყისშივე ს. ნარიმანიძემ და ვ. გნიოტოვამ ზუსტი ტყორცნებით ანგარიში თავისი გუნდის სასარგებლოდ წაიყვანეს და პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 25:14. შემდგომში თბილისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიშები და მოიგეს შეხვედრა — 53:35. აღსანიშნავია ე. ვარლამოვას კარგი თამაში დაცვაში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" გუნდების შეხვედრა. ტრიბუნები ვერ იტევდა მაყურებლებს. თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ქორქია, ჯორჯიკია, ნიჟარაძე, ინწკირველი, ქლენტი. მოსკოველთა რიგებში იყვნენ: კოლპაკოვი, ვლასოვი, ბაიკოვი, ლარიონოვი, ოზეროვი. თბილისელებმა თამაში მძაფრი შეტევით დაიწყეს. ანგარიში გახსნა ქლენტმა. მალე კოლპაკოვი ქვითავს ბურთს, მაგრამ ქორქია ზედიზედ ეფექტურად ამთავრებს სწრაფ კომბინაციებს. განსხვავება ანგარიშში სულ უფრო და უფრო დიდდება თბილისელთა სასარგებლოდ და პირველი ნახევარი მთავრდება — 35:20.

მეორე ნახევარი კვლავ მაღალი ტემპით დაიწყო, ვირტუოზულად თამაშობდა ქორქია, რომელიც არ აცდენდა ბურთს კალათს. რამდენიმე ბურთი მოაქციეს მოწინააღმდეგის კალათში ჯორჯიკიამ და ინწკირველმა, რასაც ვლასოვმა და ოზეროვმა (ორჯერ) სამაგიერო ბურთებით უპასუხეს. ტემპმა კიდევ უფრო იმატა. ინწკირველმა და ქლენტმა კვლავ გაადიდეს ანგარიში. 43:26 თბილისელთა სასარგებლოდ. მოსკოველები არ ჰკარგავდნენ იმედს და თამაშობდნენ სწრაფად, მონდომებით. თამაშის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, როცა მოედანზე გამოვიდა თბილისელთა მეორე შემადგენლობა: ქორქაშვილი, გოძიაშვილი, კეკელიძე, რუხაძე, აბაშიძე დარჩენილი დრო მძაფრ ურთიერთ შეტევებში მიმდინარეობდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 63:39 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა თბილისის ქალთა გუნდმა წააგო მოსკოვის „სტროიტელთან" — 21:42. თბილისის „დინამო" თამაშობდა კიევის ოფიცერთა სახლის გუნდთან. ქორქიამ, ჯორჯიკიამ, ინწკირველმა, ქლენტმა და რუხაძემ პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 33:8. მეორე ნახევარში გუნდი გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: ნიჟარაძე, კეკელიძე, გოძიაშვილი, ქორქაშვილი, აბაშიძე. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 57:36.

მესამე ნახევარფინალურ თამაშში თბილისის „დინამომ" დაამარცხა ერევნის „ისკრა" — 69:27.

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა კაუნასის „ჟალგირისისა" და ლენინგრადის ოფიცერთა სახლის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. 40 წუთიანი თამაში და პირველი დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა. მხოლოდ მეორე დამატებით დროში შესძლეს კაუნასელებმა გამარჯვების მოპოვება — 44:42.

თბილისის ქალთა კოლექტივმა წააგო შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან" — 42:53.

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა დაამარცხა აშხაბადის „ლოკომოტივი" (107:29) და კიშინიოვის „ნაუკა" (59:26).

19 სექტემბერს დაიწყო თამაშები ფინალურ ჯგუფში. ვაჟთა შორის ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის იბრძვიან: თბილისის, მოსკოვისა და რიგის „დინამოს" გუნდები, „ჟალგირისი" (კაუნასი), უნივერსიტეტი (ტარტუ) და ვვს (მოსკოვი).

ქალთა გუნდების ფინალურ ჯგუფს შეადგენენ: „დინამო" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „სტროიტელი" (მოსკოვი), „ჟალგირისი" (კაუნასი), უნივერსიტეტი (ტარტუ) და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი.

პირველი ფინალური შეხვედრა თბილისის დინამოელებმა ჩაატარეს თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებთან.

თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ქორქია, ნიჟარაძე, ქლენტი, ინწკირველი, რუხაძე (ჯორჯიკია არ თამაშობდა ავადმყოფობის გამო).

ისევე, როგორც ნახევარფინალურ შეხვედრაში თამაში თავიდანვე თბილისელთა სასარგებლოდ წარიმართა. ქორქია, ინწკირველი და ქლენტი სწრაფი კომბინაციებით გადიოდნენ მოწინააღმდეგის ფარ ქვეშ. მათ რამდენიმე ქულა მოუპოვეს თავიანთ გუნდს. მოსკოველთა მხრიდან აქტიური იყო კოლპაკოვი, რომელიც სარგებლობდა იმით, რომ ამჯერად არ თამაშობდა მისი მუდმივი „დარაჯი" ჯორჯიკია.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 29:21.

მეორე ნახევარში რუხაძე შეცვალა გოძიაშვილმა. მოსკოველებმა პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. ბაიკოვის, ოზეროვისა და ლარიონოვის ზუსტი ტყორცნების შემდეგ ანგარიში ხდება 34:33. მაგრამ თბილისელები კვლავ გადადიან იერიშზე და იგებენ შეხვედრას ანგარიშით 41:37.

ამ დღეს ვვს-მა დაამარცხა ტარტუს უნივერსიტეტის გუნდი — 50:28, ხოლო კაუნასის „ჟალგირისმა" — რიგის „დინამო" — 42:31.

ქალთა პირველ ფინალურ თამაშებიდან აღსანიშნავია მოსკოვის დინამოელთა გამარჯვება კაუნასის „ჟალგირისთან" — 54:33. მოსკოვის „ლოკომოტივისა" და „სტროიტელის" შეხვედრა დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 51:46.

ძლიერი წვიმების გამო 20 სექტემბერს თამაშები გაიმართა დახურულ შენობაში.

ნ. გუგუშვილი

თბილისის სტადიონებზე, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა რკინიგზის ტრანსპორტის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" 15 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 45 რკინიგზის 750 სპორტსმენი. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას მძლეოსნობაში, ცურვასა და ველოსპორტში.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ გუნდური პირველობა მოიპოვეს „მეტროსტროის" სპორტსმენებმა. მეორე ადგილი დაიკავა ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის კოლექტივმა, მესამე — ბელორუსიის რკინიგზის გუნდმა.

სურათზე: 100 მეტრზე რბენის მომენტი.

ტრადიციული სპარტაკიადა

დიდი ჯიხაიშის სპორტსმენები — პირველ ადგილზე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების წლევანდელი, VII სპარტაკიადა, რომელშიც 32 ძირეული კოლექტივი მონაწილეობდა, ზონალური პრინციპის მიხედვით გაიმართა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, ველორბოლა, ქართული ჭიდაობა.

საინტერესო სპორტული ბრძოლების შემდეგ ფინალში გავიდნენ ზონებში გამარჯვებული ბაკურციხის, სოხუმის, გორის, ქუთაისის, პულაშისა და დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმების კოლექტივები.

სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება გაიმართა კულაშის (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტერინარული ტექნიკუმის „უროჟაის" კეთილმოწყობილ სტადიონზე. ფინალში 200 სპორტსმენი ღებულობდა მონაწილეობას.

შეჯიბრება დაიწყო გოგონების რბენით 100 მეტრზე. ფინიშთან პირველი მიიჭრა ზ. ნუცუბიძე (დიდი ჯიხაიში) — 14,3. ვაჟთა შორის გაიმარჯვა გ. ბარკავამ (დიდი ჯიხაიში) 11,3. მძლეოსნობის 8 სახიდან დიდჯიხაიშელებს 8 პირველი ადგილი ერგოთ.

მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქართულმა ჭიდაობამ. მონაწილეებმა გამოამჟღავნეს ჩინებული ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. საუკეთესო აღმოჩნდა გორის გუნდი. მეორე ადგილზე გავიდნენ კულაშელი მოჭიდავეები. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს ს. ვარდანაშვილმა (გორი), გ. მაისურაძემ (სოხუმი), ა. იორამაშვილმა (გორი), რ. ბეჟაშვილმა (ბაკურციხე), გ. მაზნაშვილმა (გორი), გ. ყაზარაშვილმა (გორი), ზ. სარაიშვილმა (სოხუმი), ლ. ლაფერიძემ (ქუთაისი).

ფრენბურთში ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ბაკურციხის კარგად მომზადებულმა კოლექტივმა. ქალებში პირველობა დაისაკუთ დიდი ჯიხაიშის გუნდმა.

ველომარბიელთა შეჯიბრებაში ვაჟთა შორის პირველი იყო დიდი ჯიხაიშის ნაკრები, ქალთა შორის — სოხუმის გუნდი. საერთო პირველი ადგილი ერგოთ სოხუმელ ველომარბიელებს.

სპარტაკიადაში კონკურსს გარეშე მონაწილეობდა ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ვაჟ ფრენბურთელთა გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა ყველა შეხვედრაში.

ამრიგად, „უროჟაის" VII რესპუბლიკური სპარტაკიადა დამთავრდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივის გამარჯვებით. დიდი ჯიხაიშელებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს ორგანიზებულობა და მაღალი ტექნიკური მომზადება. მეორე ადგილზე გავიდნენ კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის სპორტსმენები, მესამეზე — სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის სუბტროპიკული ტექნიკუმის გუნდი.

სპარტაკიადაში გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი ჯილდოები.

ა. ზამბახიძე,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მ. ხერხეულიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლა

19 სექტემბერს თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბის დარბაზში შედგა ტანვარჯიშული საღამო. მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები.

ოსტატთა პროგრამის ვარჯიშები შეასრულეს ნ. თაყაიშვილმა, თ. სანებლიძემ, რ. შარაბიძემ, ვ. ჯაიანმა, ო. ქორქიამ, ნ. ბახუტაშვილმა, ქ. ივანოვმა. ქალთა შორის ოსტატთა პროგრამით გამოვიდნენ რ. ზაალიშვილი, მ. ჯუღელი, თ. ქოიავა, ე. ქოვლიევა, ე. გაგოშიძე, ქ. გოლაშვილი, ე. სტეპანოვა.

საინტერესო იყო აკრობატთა ოთხეულის — მ. ქელეხსაშვილის, გ. გარსევანიშვილის, გ. მთვარელიძისა და ბ. ძამაშვილის გამოსვლა.

მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა მხატვრული ტანვარჯიშის ნომრების შესრულებამ. გამოირჩეოდნენ მ. ანდრონიკაშვილი, თ. ზურაბიშვილი, ვ. ნათაძე, ა. ლაკერბაი, რ. პენკოვა.

ავტოქარხნის ფიზკულტურელები

საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაცია 1.800-მდე ფიზკულტურელს აერთიანებს. იგი ქალაქის ყველაზე დიდ ფიზკულტურულ კოლექტივს წარმოადგენს.

ქარხანასთან შექმნილია ფეხბურთის 8 გუნდი, კალათბურთის, კრივის, ჭიდაობის, ფრენბურთის, ტანვარჯიშის და მძლეოსნობის სექციები. საერთო ფიზკულტურულ მომზადებაში 500 ახალგაზრდაა ჩაბმული. მოცურავეთა სექცია 400 კაცს აერთიანებს, ხოლო ტურისტულ-ალპინისტურ და სათხილამურო სპორტს ორასამდე ახალგაზრდა მისდევს.

ქარხნის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია ფეხბურთის მოედანი, საცურაო აუზი, კალათბურთისა და ფრენბურთის რამდენიმე მოედანი, ტანვარჯიშის ბაქანი, კრივისა და საჭიდაო სარბიელი და სხვ.

ქარხნის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების საქმეში. 7 თვეში მომზადებულ იქნა მშთ 165 პირველი საფეხურის და 35 მეორე საფეხურის ნიშნოსანი, 5 პირველთანრიგოსანი, 20 მეორე და 55 მესამეთანრიგოსანი.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120-ისა მომზადდა 131 მწვრთნელი, ფიზორგი, ინსტრუქტორი, მსაჯი და სხვ.

ქარხნის ფიზკულტურელები აქტიურად მონაწილეობენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და მნიშვნელოვან სპორტულ წარმატებებსაც აღწევენ. სტახანოველმა ოსტატმა ნ. თორთლაძემ, რომელიც საწარმოო დავალებებს სისტემატურად 180-200 პროცენტით ასრულებს, 1950 წელს ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა კრივში, ხოლო რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა. ქუთაისის ჩემპიონის წოდებას ფლობს ქარხნის ძალოსანი რ. ხუროძე, საქართველოში კი მას მეორე ადგილი უჭირავს. დიდ ინტერესს იჩენს სპორტისადმი მოწინავე ცვლის ოსტატი ვ. ჩხენკელი, იგი პირველთანრიგოსანი შტანგისტია, გასულ წელს მან ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ასეთი მოწინავე ფიზკულტურელები ქარხანაში ბევრია. ამას წინათ ავტოქარხნის მოცურავეთა გუნდმა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მეორე ჯგუფში პირველი და მეორე ადგილი გაიყო. წარმატებით გამოდიან ასევე სხვადასხვა სახის შეჯიბრებებზე ავტოქარხნის ძალოსნები და მოჭადრაკეები.

მიუხედავად ამ ერთგვარი მიღწევებისა ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს მაინც გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. ქარხნის ფეხბურთელთა გუნდმა „ტორპედომ" თუ 1949 წელს საქართველოს პირველობის გათამაშებაში პირველი ადგილი მოიპოვა და მოიგო სტალინური კონსტიტუციის თასი, გასულ წელს რესპუბლიკის პირველობაში მე-5 ადგილი დაიკავა. ქარხანაში ყოველგვარი შესაძლებლობაა ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და კალათბურთის ფართოდ განვითარებისათვის, მაგრამ სპორტსმენებთან არასისტემატური მუშაობის შედეგად კალათბურთის გუნდმა გასულ წელს საქალაქო შეჯიბრებაში მეხუთე ადგილი დაიკავა, მძლეოსანთა გუნდი მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ხოლო ტანმოვარჯიშეებმა მერვე ადგილი დაიკავეს.

საჭიროა ქარხნის ადმინისტრაციამ და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ უფრო მეტი დახმარება გაუწიონ ფიზკულტურულ კოლექტივს, რათა იგი ჩადგეს რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურული ორგანიზაციების რიგებში.

ბ. გრძელიშვილი

ქუთაისი.

მოკლე ცნობები

სტალინირი. დამთავრდა სამხრეთ ოსეთის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. თავიანთ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ა. ბურნაძემ, ო. პალიაშვილმა, დ. ზუბაშვილმა, გაბარაევმა, ხ. თედეევმა, ნ. ბაბუციძემ, რ. პლიევმა და ვ. ხუბეევმა. გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო ქ. სტალინირის კოლექტივი.

ნ. ზადიშვილი

* * *

ლანჩხუთის რაიონი. მეორე თვეა ჩიბათის სასოფლო კლუბთან მუშაობს საჭადრაკო წრე, რომელშიც 12 ჭადრაკის მოყვარულია გაერთიანებული. წრის წევრები ეცნობიან საჭადრაკო თეორიას, არჩევენ ამოცანებსა და ეტიუდებს, აწყობენ ტურნირებს.

ა. პატარაია

* * *

მახარაძის რაიონი. სოფ. ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ნაყოფიერი ფიზკულტურული მუშაობაა გაშლილი. აქ ამას წინათ მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, დაბრკოლებათა ზოლი და სატანვარჯიშო ბაქანი. საბჭოთა მეურნეობის მუშა ახალგაზრდობა გატაცებით მეცადინეობს სპორტულ სექციებში.

კ. ჩხაიძე

სსრ კავშირის XIII ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

ძირითადი შემადგენლობები

მდგომარეობა 21 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ც დ ს ა	26	16	7	3	49:18	39
„დინამო“ თბ.	26	15	6	7	59:36	36
„შახტიორი“	28	12	10	6	44:30	34
„დინამო“ მ.	26	13	5	8	60:38	31
„სპარტაკი“ მ.	28	13	5	10	50:35	31
„კრ. სოვეტოვი“	26	10	11	5	32:24	31
„ზენიტი“	28	10	8	10	36:40	28
„დინამო“ კ.	26	9	9	8	43:36	27
„დინამო“ ლ.	27	11	5	11	45:50	27
ვ ვ ს	28	11	4	13	44:56	26
„ტორპედო“ მ.	28	8	8	12	37:48	24
„დაუგავა“	27	8	7	12	41:43	23
ვ მ ს	28	7	9	12	30:50	23
„სპარტაკი“ თბ.	28	7	2	19	32:56	16
„ტორპედო“ გ.	28	4	6	18	20:62	14

◆

საქართველოს პირველობა

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 21 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ოფიც. სახ. თბ.	22	19	2	1	92:12	40
„დინამო“ ქუთ.	22	13	4	5	53:30	30
„დინამო“ ზუგ.	22	9	8	5	38:25	26
„დინამო“ ბათ.	22	10	6	6	45:30	26
ტ ტ ს თბ.	17	11	3	3	30:13	25
„დინამო“ მახ.	20	10	3	7	41:32	23
„დინამო“ თელ.	22	7	6	9	35:58	20
26 კომ. რ. თბ.	16	8	3	5	31:27	19
„დინამო“ სოხ.	21	7	5	9	31:29	19
„დინამო“ ფოთი	21	5	7	9	20:36	17
„დინამო“ გორი	22	5	5	12	25:43	15
„დინამო“ სტ.	21	5	2	14	27:59	12
„სპარტაკი“ ბ.	21	4	4	13	25:59	12
„ლოკომოტ“. ხ.	22	2	4	16	28:66	8

◆

„დინამოს“ ჩემპიონატი

მეორე თვეა, რაც მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქართველოს პირველობა ფეხბურთში.

გათამაშებაში მონაწილე 16 გუნდი დაყოფილი იყო სამ ქვეჯგუფად.

ცხარე ბრძოლების შემდეგ ქვეჯგუფებში გამარჯვებული გამოვიდნენ ქუთაისის, ზუგდიდისა და თბილისის „დინამოს“ მეექვსე რაისაბჭოს გუნდები. ისინი ერთმანეთს შეხვდებიან „დინამოს“ სპარტაკიადის ფინალურ ფაზაში და გაითამაშებენ საქართველოს „დინამოს“ ჩემპიონის წოდებას. მათი თამაშები დაიწყება 21 სექტემბერს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე.

გ. ჭუმბურიძე,
სპორტის ოსტატი,
გათამაშების მთავარი მსაჯი.

ფეხბურთის მოედნებზე

მეორე ადგილზე

17 სექტემბერს თბილისის „დინამოს სტადიონზე თბილისის დინამოელები შეხვდნენ სტალინოს „შახტიორს“. ეს იყო მათი უკანასკნელი თამაში მიმდინარე წლის პირველობაზე.

შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის: თბილისელები მოგების შემთხვევაში ყოველგვარი „მოზიარის“ გარეშე გადიოდნენ მეორე ადგილზე, ხოლო ორი ქულა „შახტიორს“ აძლევდა მე-3-4 ადგილის მოპოვების ნაღდ შესაძლებლობას. ამიტომ ცხადი იყო, რომ ბრძოლა მძაფრი და შეუპოვარი იქნებოდა. ეს ასეც მოხდა. მრავალრიცხოვანი მაყურებელი მეტად დაძაბული და მაღალოსტატური თამაშის მოწმე გახდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც—1:1—ღირსეულ, თანაბარძალიან მოწინააღმდეგეთა შეუპოვარი ბრძოლის შედეგია.

მთელი თამაშის ბედი პირველ ათ წუთში გადაწყდა. თბილისელებმა პირველ წუთებიდანვე მედგრად შეუტიეს და რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ ანგარიშიც გახსნეს. თოდრიამ (№ 11) დეგტიარევთან (№ 2) ბრძოლაში ბურთი კართან ჩააწოდა, სადაც მეკარე პესტოვმა იგი რამდენიმე მეტრით უკუაგდო, მაგრამ ბურთს დაეუფლა ვარდიმიადი (№ 9) და ზუსტი დარტყმით მოწინააღმდეგის ბადეში გაახვია. სტუმრები მაშინვე საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ და პონომარიოვმა (№ 9), მოატყუა რა ანთაძე (№ 6) და ძიაპშიპა (№ 3) 22 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ინიციატივა კარგა ხანს სტუმრების მხარეს იყო. „შახტიორის“ მოთამაშეები, რომლებიც ჩინებულად არიან მომზადებული ფიზიკურად, მოქმედებდნენ კოლექტიურად, ენერგიულად და მეტად სწრაფად.

მხოლოდ შეხვედრის პირველი ნახევრის ბოლოს შეძლეს თბილისელებმა თამაშის გათანაბრება, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. შესანიშნავად თამაშობდა „შახტიორის“ მეკარე პესტოვი, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო.

მეორე ნახევარი „დინამომ“ ენერგიული შეტევით დაიწყო. კ. გაგნიძე ოსტატურად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე და ზედ კარის წინ მიაწოდა ბურთი თავისუფლად დატოვებულ ვარდიმიადის, რომელმაც ვერ გამოიყენა ანგარიშის გადიდების რეალური შესაძლებლობა. შემდგომში ჭკუასელი, თოდრია, ღოღობერიძე და ვარდიმიადი ზედიზედ გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ სტუმრების დაცვა, რომელსაც ხშირად თავდამსხმელებიც ეხმარებოდნენ, ახერხებდა სახიფათო იერიშების გაქარწყლებას.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ მიერ თავისი 26-ე თამაშის ფრედ დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამო“ მტკიცედ დამკვიდრდა მეორე ადგილზე.

* * *

სურათზე: ვარდიმიადი (№ 9) და ალპატოვი (№ 5) იბრძვიან მაღალი ბურთისათვის.

ფოტო **მ. ზარქუასი.**

* * *

14 და 18 სექტემბერს თბილისის „სპარტაკმა“ ჩაატარა 1951 წლის საკავშირო გათამაშების ორი უკანასკნელი შეხვედრა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა თამაში სტალინოს „შახტიორთან“. პირველი ბურთი გაიტანა სპარტაკელმა ნორაკიძემ, მაგრამ მალე ფომანმა ისარგებლა ჟმელკოვის შეცდომით და გაათანაბრა ანგარიში. ტაიმის ბოლოს ივანოვმა „სპარტაკის კარში გაიტანა მეორე ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი. „შახტიორმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

მეტად სუსტად და უფერულად ითამაშა „სპარტაკმა“ კიევის „დინამოსთან“. დინამოელთა თავდამსხმელებმა დაშკოვმა, ტოვტმა და კომანმა თამაშის პირველ ნახევარში გაიტანეს 3 ბურთი. სპარტაკელებმა მეორე ნახევარში ოდნავ გააძლიერეს ტემპი, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხეს.

რესპუბლიკური შეჯიბრება სამბოში

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს პირველი პირად-გუნდური შეჯიბრება სამბოში.

სამბომ ბოლო წლებში დიდი განვითარება ჰპოვა და ფართო პოპულარობა მოიხვეჭა ჩვენში, რამდენადაც ქართული ჭიდაობის ფანდები მთლიანად შედის სამბოში, ამიტომ ჩვენი მოჭიდავეები, მათ შორის ა. მეკოკიშვილი, გ. როსტაშვილი, ე. ქარქუსაშვილი, შ. დაუშვილი, ქ. ნინიაშვილი, შ. ნოზაძე, ნ. მუზაშვილი, ა. ქველაძე, ს. ბახტაძე, ზ. ბაკურაძე და სხვები, ხშირად გამოდიან პირველ ადგილებზე საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში.

მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს პირველობაზე ჩემპიონის წოდებისათვის იბრძოდა მხოლოდ 36 მოჭიდავე და გუნდურ ჩათვლაში მონაწილეობდნენ მხოლოდ თბილისის, აფხაზეთის და აჭარის გუნდები. ქუთაისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდა 2, ხოლო გორიდან 1 სპორტსმენი. სრულიად არ გამოუგზავნიათ პირველობაზე მოჭიდავეები სამხრეთ ოსეთს, ფოთს, ჭიათურას, ზუგდიდს, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის და სხვა რაიონებს.

პირველობაში სხვადასხვა მიზეზებით არ მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უძლიერესი სამბისტები [illegible] შვილი, ქ. ნინიაშვილი, [illegible] ნოზაძე, ს. მაისურაძე და [illegible] ამან, რასაკვირველია, შეანელა ინტერესი შეჯიბრებისადმი.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, პირველობამ ცხადყო ჩვენი რესპუბლიკის სამბოს საუკეთესო მოჭიდავეების მაღალი კლასი. საინტერესო, შინაარსიანი გამოდგა მუზაშვილი-ნ. ნინიაშვილის, ბალავაძე-ბახტაძის, ქარქუსაშვილი-ბაკურაძის, ჩაჩანიძე-ქველაძის, შინჯიკაშვილი-ლაფაურის შეხვედრები.

პირადი პირველობა და საქართველოს ჩემპიონის წოდება წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ლ. კაციაშვილმა (თბილისი), ზ. დენტოშვილმა (სოხუმი), ნ. მუზაშვილმა, ვ. ბალავაძემ, ე. ქარქუსაშვილმა, დ. ჩაჩანიძემ, ბ. თედეევმა და ო. შინჯიკაშვილმა (ყველა თბილისიდან).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის კოლექტივმა, მეორე — სოხუმმა, მესამე — ბათუმმა.

ვ. კუხიანიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

◆

ჩვენ გვწერენ

ვაფართოვებთ სპორტულ ნაგებობათა ქსელს

აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებაში.

განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწევიან აფხაზეთის კომკავშირელები და ახალგაზრდობა სკოლებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სპორტული ნაგებობათა ქსელის გაფართოებისათვის, მათი კეთილმოწყობისათვის.

გასული წლის სექტემბერში სოხუმის რაიონის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ინიციატივით ავტონომიურ რესპუბლიკაში მოეწყო შვიდწლიან და საშუალო სკოლებში სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიური. ერთთვიურის შედეგად აფხაზეთის სკოლებში აგებულ იქნა 366 სპორტული ბაზა, მათ შორის კალათბურთის 47 და ფრენბურთის 97 მოედანი, 60 დაბრკოლებათა ზოლი, 87 მძლეოსნური სექტორი და სხვ.

აფხაზეთის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა სპორტულ ნაგებობათა ქსელის შემდგომი გაფართოების მიზნით ამით არ შეწყვეტილა. მათ ერთთვიურის დამთავრების შემდეგ ენერგიულად მოკიდეს ხელი სპორტული მოედნების მშენებლობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს გუდაუთის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ. მათი ინიციატივით მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეემატა 429 ახალი სპორტული ნაგებობა, მათ შორის ფეხბურთის 53. კალათბურთის 50 და ფრენბურთის 89 მოედანი, 27 სატანვარჯიშო ბაქანი, 50 სარბენი ბილიკი და სხვ.

სპორტული ნაგებობათა ქსელის გაფართოება ხელს უწყობს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში სასწავლო-სპორტული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ეხმარება ფიზკულტურელებს სპორტულ ოსტატობის ამაღლებაში.

რ. ხიკუბა,
საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილების გამგე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან

სიღნაღის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მშთ კომპლექსის ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების დარგში. მშთ I და II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებულია, ხოლო იმშთ ნიშნოსნების მომზადების დავალება განაღდებულია გადაჭარბებით. რაიონში ვადაზე ადრე და გადაჭარბებით იქნა შესრულებული თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების წლიური გეგმაც.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სიღნაღის ვაჟთა და ქალთა, ანაგის, წნორის და საქობოს სკოლებმა, აგრეთვე სიღნაღის პედსასწავლებლისა და მედიცინის დების სკოლის კოლექტივებმა. კარგად იმუშავეს „ბურევესტნიკისა“ და „ისკრის“ რაიონულმა საბჭოებმაც.

მაგრამ მთელ რიგ ორგანიზაციებში (სოფ. ქვემო მაჩხაანის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, ჯუგაანის 8-წლიანი სკოლა, სოფ. ბოდბის საშუალო სკოლა და სხვ.) ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას.

საჭიროა მიღებული იქნეს ყველა ზომა იმისათვის, რომ რაიონში არ დარჩეს არც ერთი ფიზკულტურული ორგანიზაცია, რომელსაც არ ექნება შესრულებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო გეგმა.

ც. ნადაშვილი

ფინიშის წინ

◎

„ბ“ კლასის გუნდების შეხვედრები

◎

მეტად დაძაბულად მიმდინარეობს საკავშირო პირველობის გათამაშება „ბ“ კლასის გუნდებს შორის. მონაწილე კოლექტივების უმრავლესობას უკვე ჩატარებული აქვს 26-28 თამაში, მაგრამ ჯერ კიდევ ძნელია თქმა, თუ რომელი გუნდი მოიპოვებს „ა“ კლასში გადასვლის უფლებას.

პირველი წრე ყველაზე უკეთესი შედეგებით დაამთავრა მოსკოვის „ლოკომოტივმა“, რომელმაც არც ერთი თამაში არ წააგო და უახლოეს მეტოქეებს 3-5 ქულით გაუსწრო. მაგრამ მეორე წრეში რკინიგზელებმა მკვეთრად გააუარესეს თამაშის კლასი და საგრძნობლად დაცილდნენ პირველ ადგილს.

ამჟამად გათამაშების ლიდერია მინსკის „დინამო“, რომელსაც 26 თამაშის შემდეგ მოგროვილი აქვს 39 ქულა. დინამოელებმა მეორე წრეში 7 შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ 2 წააგეს. მეორე ადგილზეა 37 ქულით (26 თამაშის შემდეგ) ბაქოს „ნეფტიანიკი“. განსაკუთრებით წარმატებით ატარებენ ბაქოელები ბოლო თამაშებს, მათ თავიანთ მოედანზე ზედიზედ დაამარცხეს „მინსკის“ დინამო“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, ტალინის „კალევი“ და ვილნიუსის „სპარტაკი“. მესამე ადგილზეა ქალაქ კალინინის გუნდი, რომელიც პირველად მონაწილეობს საკავშირო პირველობაში. ახალგაზრდა, ენერგიულმა კოლექტივმა თავიდანვე წარმატებით დაიწყო შეჯიბრება და 27 თამაშში მოაგროვა 37 ქულა.

მეორე წრეში დაკარგულმა 11 ქულამ მოსკოვის „ლოკომოტივი“ მეოთხე ადგილზე გადაიყვანა (35 ქულა 26 თამაშის შემდეგ). 33-33 ქულა აქვთ ხარკოვის „ლოკომოტივს“ და ივანოვის „კრასნოე ზნამიას“.

არათანაბარი ძალით ატარებს შეხვედრებს ვილნიუსის „სპარტაკი“, რომელიც სუსტად თამაშობს მოწინააღმდეგის მოედანზე. სპარტაკელებს ამჟამად 32 ქულა აქვთ.

სუსტად თამაშობს ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი სტალინგრადის „ტორპედო“, რომელიც მრავალი წლის მანძილზე „ა“ კლასში იყო. სტალინგრადელებმა საფუძვლიანი ცვლილებები მოახდინეს გუნდში, მრავლად შეიყვანეს ახალგაზრდობა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელები სათანადოდ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. როგორც პირველ წრეში, სტალინგრადელები ახლაც მე-8 ადგილზე არიან (30 ქულა 54 შესაძლებლიდან). ამდენივე ქულა აქვს კიშინიოვის „ბურევესტნიკს“.

თავის შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად თამაშობს აგრეთვე ერევნის „დინამო“, რომელმაც მე-7 ადგილიდან, რომელიც მას პირველ წრეში ეკავა, მეათეზე (28 ქულა) გადაინაცვლა. მომდევნო ადგილებზე არიან „სპარტაკი“ (უჟგოროდი), „კალევი“ (ტალინი), „კრასნაია ზვეზდა“ (პეტროზავოდსკი).

სუსტად თამაშობენ შუა აზიის რესპუბლიკების ფეხბურთელები. როგორც პირველ წრეში, მათი გუნდები ამჟამადაც უკანასკნელ ხუთ ადგილზე იმყოფებიან: სტალინაბადის „დინამოს“ მოგროვილი აქვს 20 ქულა, ტაშკენტის ოფიცერთა სახლის გუნდს — 17, ალმა-ატის „დინამოს“ — 13, ფრუნზეს „შრომითი რეზერვებს“ — 10 და აშხაბადის „სპარტაკს“ — 7.

◆

სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში

გუშინ, 20 სექტემბერს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი, 1/8-ფინალური შეხვედრა სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდი შეხვდა საქართველოს თასის მფლობელს — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელებს.

ახალგაზრდა თბილისელმა ფეხბურთელებმა პირველი წუთებიდანვე მძაფრი იერიშები განავითარეს და უკვე მე-10 წუთზე გაიტანეს ბურთი ვვს-ის კარში. ანგარიში 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ უცვლელი დარჩა თამაშის ბოლო წუთებამდე. მფრინავებმა მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაქვითეს ანგარიში. დამატებით დროში უფრო გამოცდილმა მოსკოველებმა თბილისელთა კარში გაიტანეს ორი ბურთი და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:1.

სტალინგრადში ადგილობრივი „ტორპედო“ დამარცხდა ლენინგრადის „დინამოსთან“ — 0:2.

ჭადრაკი

სსრ კავშირის გუნდური პირველობა

გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა

უკანასკნელ, მეხუთე ტურში თამაშობდნენ მოსკოვ-რსფსრ-ის, ლენინგრად-უკრაინის და აზერბაიჯან-უზბეკეთის გუნდები. რამდენადაც პირველ ოთხ გუნდს ჰქონდა ჩემპიონის საპატიო წოდების მოპოვების შესაძლებლობა, ყველა დაფაზე შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა.

უკრაინისა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრა მიუხედავად ორივე მხარის დიდი მეცადინეობისა ფრედ დამთავრდა — 5:5. აზერბაიჯანის გუნდმა დაამარცხა უზბეკეთის მოჭადრაკეები ანგარიშით 7½:2½.

ცენტრალურ შეხვედრაში — მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის გუნდებს შორის — გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკეებმა, რომელთაც, მოაგროვეს რა 34½ ქულა 50 შესაძლებლიდან, მოიპოვეს პირველი ადგილი და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის 1951 წლის ჩემპიონის წოდება. გამარჯვებული გუნდი შეჯიბრებაში მონაწილეობდა შემდეგი შემადგენლობით: დიდოსტატი ბოლესლავსკი (სვერდლოვსკი), ოსტატები არონინი (მოსკოვის ოლქი), ნოვოტელნოვი (გროზნო), ლივიცკი (სვერდლოვსკი), სუეტინი (ტულა), ნეჟმეტდინოვი (ყაზანი), შამკოვიჩი (ძაუჯიყაუ), მოჭადრაკე ველტმანდერი (იჟევსკი), მოჭადრაკე ქალები ფილანოვსკაია (სვერდლოვსკი) და გურფინკელი (დონის როსტოვი).

მეორე ადგილი შეჯიბრებაში ერგო 1948 წლის ჩემპიონს — მოსკოვის გუნდს, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა. მოსკოველებს ½ ქულით ჩამორჩა და მესამე ადგილი მოიპოვა უკრაინის მოჭადრაკეთა კოლექტივმა. მეოთხე ადგილზე გავიდნენ ლენინგრადელები — 29 ქულა, მეხუთეზე — აზერბაიჯანის გუნდი — 17 ქულა და მეექვსეზე — უზბეკეთის კოლექტივი — 7 ქულა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული რუსეთის ფედერაციის გუნდი დაჯილდოვებულია ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომითა და გარდამავალი პრიზით — ვერცხლის თასით. რსფსრ-ის, მოსკოვისა და უკრაინის გუნდების წევრებს გადაეცათ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მოწმობები, ხოლო გუნდების კაპიტნებს — სიგელები.

საკვალიფიკაციო ტურნირი

16 სექტემბერს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო ტურნირი.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ გამოჩენილი საბჭოთა ოსტატები ი. ლიპნიცკი (კიევი), ლ. არონინი (მოსკოვის ოლქი), ნ. ნოვოტელნოვი (გროზნო), ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), ა. ბანიკი (კიევი), გ. კასპარიანი (ერევანი), ა. სუეტინი (ტულა), გ. გოლდბერგი (ლენინგრადი), ო. მოისეევი (მოსკოვი) და საქართველოს წამყვანი ოსტატობის კანდიდატები ა. ფირცხალავა, მ. შიშოვი, ა. ბლაგიძე, თ. გიორგაძე, ვ. ქარსელაძე და ბ. გურგენიძე.

ტურნირში მონაწილეთათვის ოსტატობის მოპოვების საკვალიფიკაციო ნორმად დამტკიცებულია 8½ ქულა 15 შესაძლებლიდან.

მწვავე და შინაარსიანი თამაშებით აღინიშნა შეჯიბრების სამი ტური. ოსტატები და, განსაკუთრებით, ოსტატობის კანდიდატები მედგრად იბრძვიან ყოველ პარტიაში. პირველ ტურში აღსანიშნავია გოლდბერგ (ლენინგრადი) — ლიპნიცკის (კიევი) შეხვედრა. კიეველმა ოსტატმა მაღალტექნიკურ სიმაღლეზე ჩაატარა მთელი პარტია და მოსაგებ მდგომარეობაში გადასდო იგი. მეორე დღეს ლიპნიცკიმ ეფექტური შეწირვებით დაამარცხა მოსკოვის ჩემპიონი პეტროსიანი. მესამე ტური ლიპნიცკისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ქარსელაძესთან დებიუტში საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეცდომითი კომბინაციით წააგო ხარისხი და მე-18 სვლაზე იძულებული იყო დანებებულიყო. წინა ტურში ასეთივე ამბავი დაემართა ქარსელაძეს არონინთან. რთულ მდგომარეობაში მან მცდარი მანევრით დაჰკარგა ფიგურა და წააგო პარტია.

კარგად დაიწყო შეჯიბრება თბილისელმა შიშოვმა, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრები არონინთან და სუეტინთან და მოსაგები მდგომარეობა აქვს ქარსელაძესთან გადადებულ პარტიაში. ტურნირის მრავალი პარტია გადადებულია, რაც შეჯიბრების დაძაბულობით აიხსნება.

ბულგარეთისა და სსრ კავშირის ველომარბიელთა ამხანაგური შეჯიბრება

მოსკოვის ნორჩ პიონერთა სტადიონის ახალ, კეთილმოწყობილ ველოტრეკზე გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის უძლიერეს ველომარბიელთა ამხანაგური შეხვედრა. შეჯიბრების პროგრამაში იყო სხვადასხვა რბოლა: სპრინტერული, გუნდური, 100 წრიანი, გამოვარდნაზე, ლიდერით და სხვ. უძლიერესთა შეხვედრაში საბჭოთა გუნდიდან მონაწილეობას ღებულობდა თბილისელი სპორტის ოსტატი ო. დადუნაშვილიც, რომელმაც რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა სპრინტერულ რბოლაში.

ორდღიანი დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 6:6.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ველომარბიელთა შეჯიბრებამ ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში.

◆

ევროპის პირველობა ფრენბურთში

15 სექტემბერს პარიზში, პ. კუბერტენის სახელობის დიდ სპორტულ დარბაზში დაიწყო ევროპის პირველობის გათამაშება ფრენბურთში.

ევროპის ჩემპიონის წოდებისათვის იბრძვის 10 ვაჟთა და 7 ქალთა გუნდი. წინასწარი თამაშები ტარდება 3 ქვეჯგუფში ვაჟთათვის და 2 ქვეჯგუფში ქალთათვის. ვაჟთა გუნდებიდან „ა“ ქვეჯგუფში შევიდნენ სსრ კავშირი, ბელგია, იტალია; „ბ“ ქვეჯგუფში — ბულგარეთი, პორტუგალია, იუგოსლავია, ჰოლანდია; „გ“ ქვეჯგუფში — რუმინეთი, იზრაილი, საფრანგეთი. ქალთა გუნდებიდან „ა“ ქვეჯგუფში არიან სსრ კავშირი, საფრანგეთი, ჰოლანდია; „ბ“ ქვეჯგუფში — პოლონეთი, იტალია, იუგოსლავია, ბულგარეთი. ქვეჯგუფების წინასწარ თამაშებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ შეჯიბრებაში.

შეჯიბრების პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენები არ თამაშობდნენ. მათი პირველი შეხვედრები დანიშნული იყო შეჯიბრების მეორე დღისათვის. ამ დროისათვის ათასობით პარიზელმა დაიკავა ადგილები დარბაზში. ბევრი მაყურებელი მიიზიდა საბჭოთა კავშირის გუნდებმა, რომლებიც, როგორც ცნობილია, არიან მსოფლიოს 1949 წ. და ევროპის 1950 წ. ჩემპიონები ვაჟთა შორის და ევროპის 1949 წ. და 1950 წ. ჩემპიონები ქალთა შორის.

საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდი შეხვდა იტალიის ფრენბურთელებს. პირველ ორ პარტიაში თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის I შემადგენლობა — ულიანოვი, რევა, შჩაგინი, იაკუშევი, პიმენოვი, ვორონინი. მესამე პარტიაში მოედანზე გამოვიდა მეორე შემადგენლობა — კიტაევი, სავინი, ნეფედოვი, გაილიტი, ანდრეევი, ახვლედიანი. საბჭოთა ფრენბურთელებმა უჩვენეს მაღალი კლასის თამაში. მთელი შეხვედრა მათი უპირატესობით ჩატარდა. ფრანგმა მსაჯმა ეპლერმა აღნიშნა საბჭოთა ფრენბურთელთა გამარჯვება ანგარიშით — 3:0 (15:5, 15:7, 15:2).

ამ დღეს საბჭოთა ფრენბურთელი ქალები შეხვდნენ ჰოლანდიის გუნდს. აქაც პირველი ორი პარტია ჩაატარა ჩვენი ქვეყნის ნაკრების პირველმა შემადგენლობამ, მესამე პარტიაში თამაშობდა მეორე შემადგენლობა. ეს შეხვედრაც საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.—3:0 (15:4, 15:3, 15:9).

მეორე დღეს საბჭოთა ფრენბურთელებმა მოიპოვეს ახალი გამარჯვება: ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ბელგიის წარმომადგენლები — 3:0 (15:2, 15:1, 15:1); ქალთა გუნდმა კი — საფრანგეთის ფრენბურთელები—3:0 (15:5, 15:1, 15:3).

◆

თბილისის „პიშჩევიკის“ ჩოგბურთელთა წარმატება

თბილისში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ტაშკენტის, ასტრახანის, ოდესის და თბილისის წარმომადგენლები.

გუნდური პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტა თბილისისა და მოსკოვის გუნდების მამაკაცთა წყვილების თამაშმა. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა.

ამრიგად, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ჩოგბურთში მოიგეს თბილისელმა ჩოგბურთელებმა.

მ. ცინცაძე

ფეხბურთ

მოჭიდავეთა შეხვედრები

ქ. [illegible] და ტრნავაში გაიმა
ბულგარეთისა და ჩეხოსლოვა
უძლიერესი მოჭიდავეების შეჯი
ბა. ორივე შეხვედრა დამთავ
ფრედ — 4:4.

სტოკჰოლმში შვეციის მოჭიდა
ეროვნულმა გუნდმა დაამარცხა
ვიპტეს ნაკრები — 8:0.

ფეხბურთის მოედნებზე

შვეციის გუნდმა „აიკ“-მა ჩიკ
ში დიდი ანგარიშით დაამარცხა
რიკელი ფეხბურთელები — 8:1.
ნადაში, ქ. ჰამილტონში შვედებმა
იმარჯვეს ანგარიშით 2:0.

* * *

დამთავრდა იტალიის ჩემპიონ
უკანასკნელ ტურში პირველ
ლიდერმა „მილანმა“ წააგო შეხ
რა (1:2) რომის გუნდთან, რომე
უკანასკნელ ადგილზეა. ცხრი
გუნდები განაწილდნენ შემდეგ
რად: „მილანი“ — 60 ქულა,
ტერნაციონალე“ — 59 ქულა,
ვენტუსი“ (გასული წლის ჩემპიო
—54 ქულა და ა. შ.

რომის და გენუის გუნდები, რ
ლებმაც ორი უკანასკნელი ადგ
დაიკავეს, დაბალ ჯგუფში გადა
ნენ.

* * *

სტოკჰოლმში რასუნდას სტადიო
შედგა შვეციის თასის გათამაშ
ფინალური შეხვედრა. გაიმარ
შვეციის ჩემპიონმა „მალმემ“,
მელმაც დაამარცხა (2:1) „დიუგარ
ნის“ ფეხბურთელები. გადამწყვ
ბურთი გატანილ იქნა საფინალო
სტვენამდე 30 წამით ადრე.

* * *

შვეციის ფეხბურთელთა გუ
„აიკ“-მა დაამთავრა გასტროლები
რიკის შეერთებულ შტატებში.
დებმა ამერიკელ ფეხბურთელებ
გამართულ 13 შეხვედრიდან მო
10, წააგეს 2 და ერთი ფრედ
თავრეს (გატანილი და მიღებ
ბურთების საერთო შეფარდე
69:16).

* * *

ჰელსინკში გაიმართა ფინეთის
ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკ
გუნდების შეჯიბრება. შეხვედრა
მთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

დაიწყო ინგლისის 1951-52 წწ
ველობა ფეხბურთში. პირველ ტუ
ინგლისის ჩემპიონმა „ტოტენჰემ
წააგო „მიდელსბროსთან“ —
„ჩელსიმ“ ასეთივე ანგარიშით
მარცხა „ბლეკპული“. „არსენალ
შეხვედრა „ხუდერსფილდთან“
(2:2) დამთავრდა.

სპორტი დოლარის ბატონ
ქვეყნებში ბიზნესია.



— თუ ფულს არ დაიშურებთ,
მი ფეხბურთელები ათ ბურთს
შვებენ და გამარჯვება თქვენ
ჩებათ.

ნახატი მ. ოთაროვ

ქართველი ტურისტი აფრიკის ჯუნგლებში

სათავგადასავლო ლიტერატურაში ცნობილია მრავალი ისეთი ფაქტი, როცა შორეულ მგზავრობაში მიმავალი ადამიანი დასახული მიზნის მისაღწევად არ მორიდებია არავითარ სიძნელეს, ხიფათსა და მოულოდნელობას. ასეთ გაბედულ მოგზაურთა რიცხვს ეკუთვნის მეფე პოეტის არჩილის შორეული შთამომავალი ნიკო ბაგრატიონი (1868-1933). ქართველმა ტურისტმა თავისი თითქმის ფანტასტიკური თავგადასავალი გადაგვიშალა ახლახან გამოცემულ მემუარებში*), რომლის გაცნობა ინტერესმოკლებული არ არის საბჭოთა სპორტსმენებისათვის.

ბავშვობაში ნ. ბაგრატიონი სუსტი და უჯანო იყო, ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, მას ასწავლიდნენ ცხენზე ჯდომას, თოფიარაღის ხმარებას და ყოველგვარი სიძნელის ატანას. სიჭაბუკეში იგი განსაკუთრებულ უნარს იჩენდა სროლაში. როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ საქმეში ისე გაწაფულა, რომ გაფრენილ ჩიტსაც არ ააცდენდა ტყვიას. ნიკო ბაგრატიონი მოგვითხრობს თავისი მამის მხედრულ ოსტატობაზე.

ავტორი აგვიწერს, თუ როგორ იმართებოდა ქართული ჭიდაობა ძველ მუხრანში.

ეხება რა რევაზ ერისთავის მიერ შვილის შეძენის გამო გამართულ ნადირობას, ნიკო ბაგრატიონს მოჰყავს ერთი ცნობა, რომელიც მეტად საინტერესოა საქართველოში ნადირობის ისტორიის თვალსაზრისით. მასპინძელს ამ ნადირობის პირობად დაუდვია — არამც და არამც არ მოეკლათ ირმები. „უძველესი დროიდან, — გადმოგვცემს ავტორი, — არსებობს ლეგენდა, თითქოს ბაგრატიონის სახლიდან მტრებმა ქორფა ბავშვი ტყეში გაიტაცეს და იქ ნადირის შესაჭმელად დასტოვეს, მაგრამ ბავშვს ირემმა ძუძუ აწოვა და გამოზარდაო“. ამიტომ ბაგრატიონთა ოჯახის ყოველ წევრს და ნათესავს, აკრძალული ჰქონიათ ირმის მოკვლა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ლეგენდის გავლენით შეიქმნა ეს . ხალხური ლექსი მეფე—ერეკლეზეც:

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
საჩალეში გადაეგდოთ,
მონადირეს უპოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია...

მუხრანის ულამაზესი ბუნების წიაღში აღზრდილ ბავშვს ყოველთვის იზიდავდა შორეული მგზავრობა. 1896 წელს ნიკო ბაგრატიონი მოსკოვში ნიკოლოზ II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალს დაესწრო. რუსეთში ყოფნისას მას ნიკოლოზ ორბელიანმა წინადადება მისცა პენებისა და ნადირობის მოყვარულთა მთელ ჯგუფთან ერთად ლომებზე სანადიროდ წასულიყვნენ ცხელ ქვეყნებში. და აი 1899 წელს ისინი პეტერბურგიდან პარიზს გაემგზავრნენ. ლომებზე ნადირობა ბაგრატიონისათვის მხოლოდ საბაბი იყო, სინამდვილეში მის დაუდეგარ სწრაფვას აფრიკისაკენ უფრო მაღალი აზრი ამოძრავებდა — ენახა უცხო ქვეყნები, დამტკბარიყო იქაური ბუნებით, შეესწავლა ამ ქვეყნების ხალხთა კულტურა და ზნე-ჩვეულება.

პარიზშივე გამოირკვა, რომ ამ ძნელ და სახიფათო მგზავრობაში ბაგრატიონი მარტოდმარტო დარჩა. მიუხედავად ამისა, იგი არ შედრკა, ჩავიდა მარსელს და გემით გასწია ალექსანდრიის ნავსადგურისაკენ. გზაში ბაგრატიონმა გაიგო, რომ ინგლისს ომი გამოეცხადებინა ბურების რესპუბლიკისათვის. ბაგრატიონი ამ პატარა ხალხის მხარეზე დადგა და უყოყმანოდ გადასწყვიტა იარაღით ხელში ებრძოლა თავდამსხმელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ბურების რესპუბლიკის მიწა-წყალზე მისი მისვლის პირველი დღეები იმით აღინიშნა, რომ ბაგრატიონმა თოფის ორჯერ გასროლით ერთ-ერთი ფერმერის ეზოში სიცოცხლეს გამოასალმა შინაური პირუტყვის მოსატაცებლად მიპარული ვეფხი.

ორი წლის განმავლობაში ქართველი მოხალისე ტარიელივით ებრძოდა ინგლისელ მოძალადეებს. მაგრამ ჯუნგლებში შემთხვევით მოხვედრილ ტურისტს ომი უხდებოდა არა მარტო მტრის წინააღმდეგ, არამედ აფრიკის პაპანაქება სიცხესთანაც და სამხრეთის ტროპიკულ თქეშთანაც.

ბურები მედგრად იცავდნენ თავიანთ რესპუბლიკას, მაგრამ ვერ გაუძლეს თავდამსხმელთა ჭარბ ძალებს. სხვებთან ერთად ნიკო ბაგრატიონი ინგლისელთა ტყვეობაში აღმოჩნდა. უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ შემთხვევით გადარჩენილი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. აქ „ამ მოტიტვლებულ კლდეებში“ ტყვეები აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ. ტყვეთა მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად „დიდი თხოვნისა და დავიდარაბის შემდეგ“ ნ. ბაგრატიონი აღწევს ფრენბურთისა და ჩოგბურთის გუნდების შექმნას, მართავს დოღს, რომლის შემოსავალი ტყვეებს მოხმარდათ. დოღში მონაწილეობა მიუღიათ კუნძულის მცველ ინგლისელთა ჯარის საუკეთესო ცხენოსნებსაც, მაგრამ მათთვის ტყვე ბურებს უჯობნიათ. ასპარეზობაში გაუმარჯვია ნიკო ბაგრატიონსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბანაკის კომენდანტს მუხანათურად შეურჩევია ისეთი დიდი და ღონიერი ცხენები, რომლებიც წლობით შერთნაგავლილ ცირკის ჯამბაზისათვის თუ გამოდგებოდა.

ნიკო ბაგრატიონის მოგონების რუსულიდან თარგმანზე ნაყოფიერად უშრომია მწერალ რ. გვეტაძეს, თუმცა ზოგიერთი ნაკლი ამ მხრივაც არის. იგი რატომღაც წერს „ვალებოლ“ ფრენბურთის ნაცვლად და „ტენისს“ ჩოგბურთის მაგიერ.

წიგნი დიდი ხალისით იკითხება.

ი. ივანიშვილი

---

*) ნიკო ბაგრატიონი, „ბურებთან“. საბჭოთა მწერალი“, 1951 წელი.

სარედაქციო კოლეგ

გაზეთი გამოდის პარასკეობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-3

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000. უე 0434